დანართი №1

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ქიტიაშვილი

წევრები:

ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 232386272

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჭრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №1202805 - 11/09/2026 ბრძანებით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით: ნინო ქიტიაშვილი და ალექსანდრე კეკენაძე დაევალა სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების პირველადი ავტორიზაციის დასკვნა, დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 28 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩა N59.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (2.2) და პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის (4.1) მიმართულებები.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულ B გარემოში უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო ადგილები, კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი, ციფრული სადემონსტრაციო საშუალება და დარგის შესაბამისი აღჭურვილობა. ასევე გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები. თუმცა, მონიტორინგისას კვლავ გამოიკვეთა ცალკეული მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფის საჭიროება, მათ შორის ტელეფონის სადგურის, ფლეშ-მეხსიერებების, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტისა და ოპერაციული სისტემის ინსტალაციის პაკეტის მიმართულებით, ხოლო A გარემოში არ იყო უზრუნველყოფილი კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება.

4.1 კომპონენტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის ფუნქციები და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი ცვლილებები და წინარე მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზები აღმოფხვრა. ასევე დადასტურდა პერსონალის ფუნქციების შესაბამისობა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის არსებობა, მაგრამ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არ არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ცნობები, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება დოკუმენტურად სრულად არ დასტურდება.

საერთო ჯამში, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დაწესებულების მიერ წინარე რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციისა და თანდართული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა პერსონალის შესაბამისი ცნობების წარმოდგენა, ხოლო მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ღონისძიებები კვლავ განსახორციელებელია.

დაწესებულებამ 2026 წლის 19 ოქტომბრის N 1470853 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების საბოლოო ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ინდიკატორი 4.1.2.1 – 15.10.2026, ინდიკატორი 2.2.1.1 – 29.10.2026. ექსპერტთა მიერ შეფასებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ

N	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
4.1.1.1	დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მიმართულებით, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება და შესაბამისი პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.	მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის ფუნქციების განაწილება. დადგინდა, რომ დაწესებულებას განხორციელებული აქვს შესაბამისი ცვლილებები, განსაზღვრული ჰყავს პროფესიული განათლების მიმართულებით პასუხისმგებელი პირები და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები ასახულია შესაბამის დოკუმენტებში. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
4.1.1.2.	დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის, შრომის შინაგანაწესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებული ვერსიის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში	მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები. დადგინდა, რომ გადამუშავებულია შესაბამისი დოკუმენტები და განსაზღვრულია პროფესიული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესები და პერსონალის ფუნქციები. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
2.2.1.1	დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში	დაწესებულებამ გააუმჯობესა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა. B გარემოში განთავსებულია 10 სამუშაო ადგილი და 10 კომპიუტერი, უზრუნველყოფილია ინტერნეტი, ციფრული სადემონსტრაციო საშუალება და დარგობრივი აღჭურვილობის ნაწილი. ამასთან, მონიტორინგისას არ იყო წარმოდგენილი/ადგილზე არ აღმოჩნდა ყველა საჭირო რესურსი, მათ შორის ტელეფონის სადგური, ფლეშ-მეხსიერებები, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტი და ოპერაციული სისტემის საინსტალაციო პაკეტი; A გარემოში კი არ იყო კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება. დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		და თანდართული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულია გარკვეული ღონისძიებები, თუმცა ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილი არ არის. შესაბამისად, რეკომენდაცია სრულად არ არის შესრულებული და შეფასება გადაყვანილია მეტწილ შესაბამისობაში.
2.2.1.2	დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლების მოძიება და პროგრამაში ჩართვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში	მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე მასწავლებელი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა მათი შესაბამისი კვალიფიკაცია, ხოლო დატვირთვა პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
2.2.1.3	სკოლის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულია ადამიანური რესურსის განვითარება (პროფესიული განათლების მიმართულებით გადამზადება, მათ შორის სწავლების და შეფასების ნაწილში). შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ადამიანური რესურსის გადამზადება	მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენცია. დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ადამიანური რესურსის განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით, მათ შორის სწავლებისა და შეფასების საკითხებზე გადამზადება. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
2.2.1.5	სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა დარგობრივი საგანმანათლებლო რესურსებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაში.	მონიტორინგის ფარგლებში დათვალიერდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და გადამოწმდა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები. დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	20	14		5

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ვიზიტის დროს პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები სრულად არ იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა პროგრამით განსაზღვრული ტელეფონის სადგური, ფლეშ-მეხსიერებები, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტი, ოპერაციული სისტემის ინსტალაციის პაკეტი და Usb ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი. ამასთან, A გარემოში არ არის უზრუნველყოფილი კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება.
დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული მტკიცებულებების (მიღება-ჩაბარების აქტები და ფოტო მასალა) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ 20206 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, შეძენილია ფლეშ-მეხსიერებები, უზრუნველყოფილია საინსტალაციო პაკეტების ჩატვირთვა, ხოლო USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი დაწესებულების მფლობელობაშია. დაწესებულების განმარტებით, A ტიპის სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი, რაც წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება.
ამასთან, სატელეფონო სადგურთან დაკავშირებული სწავლის შედეგისთვის, როგორც დარგის წარმომადგენლებისთვის ცნობილია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პროგრამული ვერსია, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიც ითვალისწინებს, თუმცა სკოლა გეგმავს და ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში შეძლებს აღნიშნული მოწყობილობის შეძენასაცსატელეფონო სადგურის შეძენა დაგეგმილია ახალი მიღების ფარგლებში მიღებული დაფინანსების გათვალისწინებით, ხოლო კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტის შესაძენად შერჩეულია მომწოდებელი, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაწერილი აქტივობების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 29 ოქტომბერი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია და აღნიშნულ ვადაში შესრულებადია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები და მატერიალური რესურსების ნაწილი უკვე უზრუნველყოფილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა მატერიალური რესურსის სრულად უზრუნველყოფა დასრულებული არ არის, რაც ასევე მითითებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

4.1 კომპონენტი - პერსონალის და პროცესების მართვა

ინდიკატორი 4.1.2.1

ვიზიტის დროს პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალს არ ქონდა წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ცნობები. თუმცა, დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პირად საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ცნობები, რომლებიც ადასტურებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის საკითხებს, მოპოვებულია და წარმოდგენილია.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს 4 ახალი მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია ადგილზე გასაუბრების და პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, ხოლო ექსპერტთა მოსაზრებით, წარმოდგენილი ცნობები არ საჭიროებს დამატებითი შინაარსობრივი შესწავლის ან შეფასების განხორციელებას, ვინაიდან ისინი გაიცემა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ამასთან, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაწესებულებამ უკვე უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვება (აქტივობის ვადები - 29.09.2026 – 15.10.2026), რის შედეგადაც თავდაპირველი შეფასების ფარგლებში გამოვლენილი დოკუმენტური ხარვეზი აღმოფხვრილია.

მიუხედავად ხარვეზის აღმოფხვრისა, შეფასების ცვლილება უნდა განხორციელდეს ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული პროცედურისა და შეფასების საფუძვლების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის N 0001470853 კორესპოდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერილი აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა არ აღემატება 1 თვეს. დაწესებულება განმარტავს, რომ 2025 წლის მიღებაზე ჩარიცხული 9 პროფესიული სტუდენტიდან 5 სტუდენტის გადინების შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული დაფინანსება არასაკმარისი აღმოჩნდა პროგრამისთვის საჭირო დარჩენილი მატერიალური რესურსებისა და მასალა-ნედლეულის შესაძენად. აღნიშნული დანაკლისის შევსებას სკოლა შეძლებს მხოლოდ 2026 წლის მიღების ჯგუფის დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სკოლამ ვიზიტის შემდგომ შეიმუშავა და დაამტკიცა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და 2026 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება (ინდიკატორი 2.2.1.1 – 29.09.2026-29.10.2026; ინდიკატორი 4.1.2.1 – 29.09.2026-15.10.2026). დაწესებულების განმარტებით, შეძენილია ფლეშმეხსიერებები, ჩატვირთულია საინსტალაციო პაკეტები, ხოლო USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი სკოლის მფლობელობაშია, რაც შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება. ასევე, წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება A ტიპის სასწავლო გარემოს მოწყობა. სატელეფონო სადგურთან დაკავშირებული სწავლის შედეგისთვის, როგორც დარგის წარმომადგენლებისთვის ცნობილია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პროგრამული ვერსია, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიც ითვალისწინებს, თუმცა სკოლა გეგმავს და ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში შეძლებს აღნიშნული მოწყობილობის შეძენასაც, ხოლო კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტის შესაძენად შერჩეულია მომწოდებელი.
ექსპერტთა მიერ გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულებაში გადახედილია ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიული განათლების მიმართულებით. პროფესიული ინტეგრირებული პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მქონე პირები, მათ შორის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, რეესტრზე პასუხისმგებელი პირი და შესყიდვების მენეჯერი. აღნიშნული ფუნქციები ასახულია პროფესიული მიმართულებისთვის შემუშავებულ სტრუქტურაში.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-22 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის და რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დოკუმენტით განსაზღვრულია თითოეული პოზიციის შესაბამისი პასუხისმგებლობები, აუცილებელი ცოდნა, უნარები და განათლების მოთხოვნები. **ამდენად, 4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულებაში პროფესიული განათლების პროცესში ჩართული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით:
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებას, თვითშეფასების პროცესის კოორდინაციას, ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგს.
- პროფესიული განათლების კოორდინატორი - კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარე სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებს, მასწავლებელთა საქმიანობას, სტუდენტთა მხარდაჭერასა და კარიერული სერვისების განხორციელებას.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, აკონტროლებს პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სასწავლო გარემოს მზადყოფნასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.
- პროფესიული განათლების მასწავლებელი - უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას, სტუდენტთა შეფასებას, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებასა და სწავლის შედეგების დადასტურებას.
- პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტი - უზრუნველყოფს პროფესიული განათლების საჭიროებებისთვის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, ხელშეკრულებების აღრიცხვასა და ანგარიშგებას.
- რეესტრის წარმოების სპეციალისტი - უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სტუდენტების, პერსონალის, პროგრამების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ასახვასა და განახლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტები და დადასტურდა, რომ პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ერთმანეთისგან გამიჯნული, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების პროცესების ეფექტიან განხორციელებას. **ამდენად, 4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტში (სსიპ მირზა გელოვანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 16.06.2025 წ. N 2-22 ბრძანება). აღნიშნული ფუნქციები მოიცავს პროფესიული განათლების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი პროცესების მონიტორინგს, თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესების კოორდინაციას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებასა და მათი შედეგების ანალიზს, ასევე გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამიჯნულია სხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების განმახორციელებელი პირების ფუნქციებისგან. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული მონიტორინგი, შეფასება და შედეგების ანალიზი არ არის დაკავშირებული იმავე პირის მიერ შესაბამისი პროცესების უშუალო განხორციელებასთან ან საბოლოო გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებასთან, რაც ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკს.

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქციები და მათი შესაბამისობა დაწესებულებაში არსებულ პროფესიული განათლების მართვის პროცესებთან. დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შესაბამისი პასუხისმგებლობები გამიჯნულია სხვა ფუნქციებისგან.

ამდენად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები უზრუნველყოფს ხარისხის მართვის პროცესის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **ამდენად, 4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სსიპ მირზა გელოვანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 16.06.2025 წ. N 2-22 ბრძანება);
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დამტკიცებულია სსიპ მირზა გელოვანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 16.06.2025 წ. N 2-17 ბრძანება)
- სტრუქტურა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 16.06.2025წ. N2-26 ბრძანება);
- მონიტორინგის ანგარიში (დაწესებულების მიერ მომზადებული) (17.09.2026)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით და განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს.

პერსონალთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, დაწესებულების შინაგანაწესით, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით. პერსონალის მართვის პოლიტიკა ასევე მოიცავს პერსონალის დაგეგმვისა და შერჩევის, ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის, საქმიანობის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და წახალისების პროცესებს.

ვიზიტის დროს პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალს არ ქონდა წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისი ცნობები. თუმცა, დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის პირად საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ცნობები, რომლებიც ადასტურებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ნასამართლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის საკითხებს, მოპოვებულია და წარმოდგენილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს 4 ახალი მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია ადგილზე გასაუბრების და პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, ხოლო ექსპერტთა მოსაზრებით, წარმოდგენილი ცნობები არ საჭიროებს დამატებითი შინაარსობრივი შესწავლის ან შეფასების განხორციელებას, ვინაიდან ისინი გაიცემა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ამასთან, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, დაწესებულებამ უკვე უზრუნველყო აღნიშნული დოკუმენტაციის მოპოვება (აქტივობის ვადები - 29.09.2026 – 15.10.2026), რის შედეგადაც თავდაპირველი შეფასების ფარგლებში გამოვლენილი დოკუმენტური ხარვეზი აღმოფხვრილია.

მიუხედავად ხარვეზის აღმოფხვრისა, შეფასების ცვლილება უნდა განხორციელდეს ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული პროცედურისა და შეფასების საფუძვლების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გათვალისწინებით, **ინდიკატორის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

პერსონალის შერჩევის პროცესი ეფუძნება შესაბამისი პოზიციისთვის განსაზღვრულ სამუშაო მოთხოვნებსა და შერჩევის კრიტერიუმებს. პერსონალის შერჩევის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწესებულებაში არსებული საკადრო საჭიროება, ახალი თანამშრომლის დაქირავების აუცილებლობა და პერსონალის შეფასების შედეგები.

ვაკანტური პოზიციისთვის სამუშაო მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით და მოიცავს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებას, უნარ-ჩვევებსა და პიროვნულ თვისებებს. ვაკანსიის შევსება შესაძლებელია როგორც არსებული საკადრო რესურსიდან, ისე ღია კონკურსის გზით.

ღია კონკურსის შემთხვევაში ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია განთავსდება დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook გვერდზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დასაქმების შესაბამის პორტალზე, ბეჭდურ მედიასა ან დასაქმების სააგენტოს მეშვეობით. კანდიდატის შერჩევისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა შესაბამისი მეთოდები, რაც ხელს უწყობს კანდიდატის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურ შეფასებას.

აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მოზიდვასა და შერჩევას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. **ამდენად, 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, პერსონალის შერჩევისა და დასაქმებისას გათვალისწინებულია შესაბამისი პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს სპეციფიკა. კანდიდატის შესაბამისობა პოზიციასთან განისაზღვრება მისი განათლების, პროფესიული კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, ცოდნისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.

პერსონალის პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაცია, მათ შორის განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, იძლევა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე გათვალისწინებულია მათ მიერ განსახორციელებელ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი პროფესიული და სამუშაო გამოცდილება.

პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში ასევე ხდება თანამშრომლის ცოდნის, უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასება, რაც ხელს უწყობს დაკავებულ პოზიციასთან პროფესიული შესაბამისობის შენარჩუნებასა და განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. **ამდენად, 4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომელთა ჩართულობის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკაში ცალკე განსაზღვრულია მონაწილეობის პრინციპი, რომლის შესაბამისადაც დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

თანამშრომელთა ჩართულობა ასევე უზრუნველყოფილია საქმიანობის თვითშეფასების, შეფასების შედეგებზე უკუკავშირის მიღებისა და საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობით. შეფასების პროცესში დასაქმებულს შეუძლია წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები, განმარტებები და მოსაზრებები, ასევე გაასაჩივროს შეფასების შედეგები.

დაწესებულებაში თანამშრომლობა ხორციელდება პერსონალის მართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს, უშუალო ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის გზით. საჭიროების შემთხვევაში ახალი თანამშრომლის განვითარებისათვის ტრენინგ-პროგრამა განისაზღვრება პერსონალის მართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირისა და უშუალო ხელმძღვანელის ერთობლივი მონაწილეობით. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას გადაწყვეტილებისა და განვითარების პროცესებში, ურთიერთთანამშრომლობას, გუნდური მუშაობის კულტურის ჩამოყალიბებასა და საერთო ორგანიზაციული მიზნების მიღწევას. **ამდენად, 4.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- მონიტორინგის ანგარიში (დაწესებულების მიერ მომზადებული)
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N59
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	14
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია მატერიალური რესურსები და ორი სასწავლო გარემო. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლაში). B ტიპის სასწავლო გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი და ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი, ციფრული სადემონსტრაციო საშუალება, პროფესიულ სტუდენტთა 10 სამუშაო ადგილი, 10 კომპიუტერი, კარადა და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

ვიზიტის დროს პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსები სრულად არ იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა პროგრამით განსაზღვრული ტელეფონის სადგური, ფლეშ-მეხსიერებები, კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტი, ოპერაციული სისტემის ინსტალაციის პაკეტი და Usb ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი. ამასთან, A გარემოში არ არის უზრუნველყოფილი კომპიუტერი და ციფრული სადემონსტრაციო საშუალება.

დაწესებულების მიერ 2026 წლის 19 ოქტომბერს N 1470853 წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, 2026 წლის 29 სექტემბრის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის და თანდართული მტკიცებულებების (მიღება-ჩაბარების აქტები და ფოტო მასალა) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ 20206 წლის 29 სექტემბრიდან დაიწყო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, შეძენილია ფლეშ-მეხსიერებები, უზრუნველყოფილია საინსტალაციო პაკეტების ჩატვირთვა, ხოლო USB ტიპის ინტერფეისის მქონე უსადენო ქსელის ადაპტერი დაწესებულების მფლობელობაშია. დაწესებულების განმარტებით, A ტიპის სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი, რაც წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება.

ამასთან, სატელეფონო სადგურთან დაკავშირებული სწავლის შედეგისთვის, როგორც დარგის წარმომადგენლებისთვის ცნობილია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პროგრამული ვერსია, რასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიც ითვალისწინებს, თუმცა სკოლა გეგმავს და ახალი მიღების დაფინანსების ფარგლებში შეძლებს აღნიშნული მოწყობილობის შეძენასაცსატელეფონო სადგურის შეძენა დაგეგმილია ახალი მიღების ფარგლებში მიღებული დაფინანსების გათვალისწინებით, ხოლო კომპიუტერის დასუფთავების კომპლექტის შესაძენად შერჩეულია მომწოდებელი, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაწერილი აქტივობების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 29 ოქტომბერი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია და აღნიშნულ ვადაში შესრულებადი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები და მატერიალური რესურსების ნაწილი უკვე უზრუნველყოფილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა მატერიალური რესურსის სრულად უზრუნველყოფა დასრულებული არ არის, რაც ასევე მითითებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით,პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ამდენად, 2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია.ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. **ამდენად, 2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც თავად ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა მოდულს და ფლობს მათ სწავლებისთვის საჭირო შესაბამის კომპეტენციას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და ჩაატარეს მასთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადასტურდა მისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან. **ამდენად, 2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ამდენად, 2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ-ში სსსმ პირებისთვის უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე წვდომა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რესურსები ადაპტირდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმები.

საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირების მიზნით შესაძლებელია მისი ელექტრონული ვერსიის მომზადება, სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტითა და სხვა მახასიათებლებით ამობეჭდვა, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით რესურსის შინაარსობრივი მორგება სტუდენტის საჭიროებებზე, მათ შორის ტექსტის გამარტივება და ვიზუალური აღქმის შესაძლებლობის გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, საჭიროების შეფასების საფუძველზე დაწესებულების მიერ შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროგრამას/მოდულს და ითვალისწინებს სტუდენტის საჭიროების შესაბამისად სწავლებისა და შეფასების მიდგომების ადაპტირებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების სახელმძღვანელოდ.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში განსაზღვრული აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხელმისაწვდომობას და მათ საჭიროებებზე მორგებას. **ამდენად, 2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას აქვს სამოქმედო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, ვაუჩერულ დაფინანსებას, პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 7 პროფესიული სტუდენტი. მონიტორინგის განხორციელების ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება სულ 14 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 4 სტუდენტი წინა წლის მიღებიდან და 10 სტუდენტი მიმდინარე წლის მიღებიდან. **ამდენად, 2.2.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება 16.06.2025წ. N2-15;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
თარიღი: 19.10.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: